F343
1999

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიანდაგ

№2-3 1999 წელი

უმაწვილი უნდა სწავლობდეს
საცნობლად თავისადაო:
ვინ არის, სიდამ მოსულა,
სად არის, წავა სადაო?

მზია ჩხეტიანი

ჟურნალ «დილას»

სიხარულო, საით მიხმობ,
ცად ფრენას თუ ეჰირები! -
სიტყვა-სიტყვით წასაკითხი,
ლამის დასაზეჰირები!
როგორ მიყვარს ეგ ფერადი,
შარიშურა ატლასები!
ჩემნაირი გულისთრთოლვით
მოგელიან ათასები!
„დილა“ ხარ და
ჩვენს საგალ გზებს
ეფინები რიჟრაჟებად,
მაგ ჰწკარებში
მამის ხმა ჟღერს,
დედის სითბო ინაზება.
რა მადლი გაქვს! -
გულში შუქად,
ნათლის სვეტად გადადიხარ.
ჟურნალი ხარ? -
თეთრი მტრედის
მოტანილი ბარათი ხარ!
წაგიკითხავ... სამომავლოდ
ახალ სივრცეს მომიხაზავ,
ქართული ხარ! -
შოთას, საბას,
ვაჟას დიდი გორისა ხარ!

ბოლნისისა და დმანისის
მთავარეპისკოპოსი თადეოზი

საქართველოს

შენ ხარ ჩემი მზე და ჩემი სიხარული,
შენი მზე მათბობს და მიჩრდილებს ჩერო...
ჩემო წმინდა ხატო, რწმენავ, სიყვარულო,
ტკბილო სალოცავო - მამულო ჩემო.
შეხე შენს იარებს, რა გზებით იარე,
მაინც არ გატეხდი და სიმაღლეს ჩემობ...
სიმღერით ირჩენდი ნახმლევ-ნატყვიარებს,
იმედით ცოცხლობდი, მამულო ჩემო!..
დღე იყო დარით თუ ავდარით დამთვრალი...
სუსხი იანვრისა თუ ხვატი მკათათვის...
აკვანში გეწვინა ბევრი მზე და მთვარე,
ნანას ღიღინებდი ცეცხლოვან ურმათათვის.

პაწაწინა ლევან არაბულს
და ყველა პატარას

ჯვარი გეწეროს ვარდის კენწეროს,
სიკეთესა და ხალისს,
შენზე ლამაზი ლექსი მეწეროს
აუვავილებავ ხვალის.
სიცოცხლის ნერგო, ქვეყნის იმედო,
ტკბილად ახელავ თვალის,
შეგაძლებინოს, მოგახდევინოს
ღვთიურ საშობლოს ვალი.
აწმყომ გაკურთხოს, ხვალემ გადიდოს,
გლოცავდეს მომავალი.

მხატვარი ზაურ დეისაძე

ეკლესია - ღვთის სახლი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნანა ჩარკვიანი

იგავი ტალანტების შესახებ

იესო ქრისტე თავის მოწაფეებს ხშირად უყვებოდა ხოლმე იგავებს. იცით, რას ნიშნავს იგავი? იგავი ისეთი ამბავია, რომელშიც კიდევ სხვა ამბავია ჩამალული ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, იგავში საიდუმლო აზრია ჩადებული, ისევე როგორც ოქროა ჩამალული მიწაში, მარგალიტი კი — ზღვის ფსკერზე, ნიჟარაში.

რატომ საუბრობს მაცხოვარი მაინც და მაინც იგავებით? ალბათ იმიტომ, რომ გვასწავლოს დაფარულის აღმოჩენა. ადამიანის სულიც ხომ დაფარულია სხეულით, სული უხილავია, მისი თვალით დანახვა და ყურით მოსმენა არ შეიძლება. თუ ვინმე სხვა ადამიანში მხოლოდ ცხვირის ფორმას და თმის ფერს ხედავს, ეს ნიშნავს, რომ ის მხოლოდ გარეგნობას სცნობს ამ ადამიანისა. თუ ვინმეს ტაძარი მხოლოდ ერთმანეთზე დაწყობილი და შედუღაბებული ქვები ჰგონია, მან არ იცის, რა არის ტაძარი. თუ ვინმეს მუსიკაში ბგერების თანამიმდევრობის გარდა არაფერი ესმის, მას არ ესმის ეს მუსიკა.

უხილავია თავად ღმერთი, მაგრამ მან შეგვიქმნა ხილული ე.ი. თვალით დასანახი სამყარო — ცა და ქვეყანა. ჩვენ უნდა ვეცადოთ, ვიპოვოთ დაფარული — ე.ი. საიდუმლო აზრი, აღმოვაჩინოთ ის, ვინც შექმნა ეს ყველაფერი.

ნახეთ, რა საინტერესოა! ღმერთმა შეისხა ადამიანური ხორცი — იესო ქრისტე ხომ ღმერთკაცია, მაგრამ იესო ქრისტეში უმრავლესობა მხოლოდ ჩვეულებრივ ადამიანს ხედავდა, მხოლოდ რჩეულმა ადამიანებმა შეძლეს მასში დაენახათ და ერწმუნათ ღმერთი.

განა არ შეიძლება ყველასათვის ყველაფერი ცხადი და გასაგები იყოს, — დაუფარავი და არა გამოსაცნობი? მაგრამ მარგალიტებს არ უყრიან ღორებს, იმიტომ, რომ ღორებმა არ იციან მარგალიტის ფასი, არც მისი გამოყენება შეუძლიათ.

იმისთვის, რომ ადამიანმა მარგალიტი მოიპოვოს, უნდა ისწავლოს ცურვა, ყვინთვა და მარგალიტიანი ნიჟარების მოპოვება. იმისათვის რომ ოქრო მოიპოვოს, უნდა იცოდეს, სად ეძებოს ის, როგორ გამოაცალკევოს ოქრო მიწისგან და როგორ გამოადნოს. ასევე, თუ ადამიანს სურს სულიერი საიდუმლოებების გამოცნობა, მან უნდა ისწავლოს სულიერი შრომა. ახლა კი, მოდით, იგავებს დავუბრუნდეთ. აი, ერთ-ერთი იგავი, რომელსაც იესო ქრისტე თავის მოწაფეებს უამბობს: ერთმა ბატონმა დაიბარა თავისი სამი მონა და დაურიგა ტალანტები (ტალანტები ძველი დროის ფულია). ერთს ხუთი ტალანტი მისცა, მეორეს — ორი, მესამეს — ერთი, თვითონ კი სხვა ქვეყანაში გაემგზავრა.

პირველმა მონამ ბატონის მოცემული ფული გამოიყენა, იშრომა და კიდევ ხუთი ტალანტი მოიგო, მეორემაც გამოიყენა, იშრომა და კიდევ ორი ტალანტი მოიგო, მესამე კი წავიდა და ის ერთი ტალანტი მიწაში ჩაფლა.

დაბრუნდა ბატონი და მონებს ანგარიში მოსთხოვა. პირველმა და მეორე მონამ მოგებული ტალანტები ბატონს მოუტანეს და უთხრეს — შენი მოცემული ტალანტები გავაბევრეთ და უკან მოგიტანეთო.

— პატარა საქმეში სანდოები ყოფილხართ, უფრო დიდ საქმესაც კარგად შეასრულებთ, შედით თქვენი უფლის სიხარულში (ე.ი. გაიზიარეთ თქვენი უფლის სიხარულიო) — უთხრა ბატონმა და მეტი ქონება ჩააბარა მათ.

მესამე მონამ უკან ამოთხარა მიწაში ჩაფლული ტალანტი, დაუბრუნა ბატონს და უთხრა: სასტიკი კაცი ხარ ბატონო, იქ იმკი, სადაც არ დაგითესია. ე.ი. იქ აგ-

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

როვებ, სადაც არაფერი დაგირიგებია, იქიდან იღებ, სადაც არაფერი მიგიციაო, შემეშინდა, შენი ფული მიწაში ჩავფალი, აჰა შენი ფული შენვე გქონდესო.

ბატონმა ბრძანა, ზარმაცი და უმადური მონის ფულიც იმათთვის მიეცათ, ვინც ტალანტები გამოიყენა.

აი, როგორ გვიხსნიან ეკლესიის მამები ამ იგავის აზრს: ბატონი არის ღმერთი, ტალანტები არის სხვადასხვა ნიჭები და უნარები, რითაც ღმერთი ადამიანებს ზოგს მეტად, ზოგსაც ნაკლებად აჯილდოებს, იმის მიხედვით, ვის როგორ შეუძლია მათი გამოყენება. პირველი და მეორე მონა არიან ის ადამიანები, რომლებიც თავიანთ ნიჭს, ე.ი. თავიანთ კეთილ თვისებებს იმისათვის იყენებენ, რომ გამოასწორონ საკუთარი უარყოფითი თვისებები, და ასე გაამრავლონ სიკეთე თავის თავში. ის, ვინც ხედავს საკუთარ ნაკლს, სხვასაც ადვილად პატიებს შეცდომებს და ასე სწავლობს სიყვარულს. ამ ადამიანებმა იციან, რომ ნიჭიერება მათ ღმერთისგან მიეცათ, ამიტომ მას საკუთარ დამსახურებად არ მიიჩნევენ, მადლიერნი არიან ღმერთის და რაკი იციან, რომ ნიჭი მხოლოდ მათი საკუთრება არ არის, ცდილობენ აკეთონ არა მხოლოდ საკუთარი თავისთვის, არამედ სხვისთვისაც სასარგებლო საქმე. ეს ადამიანები შემოქმედნი არიან რადგან სიკეთეს ქმნიან, სხვას კი არ ელოდებიან, თვითონვე ქმნიან. ასე ემსგავსებიან ისინი ღმერთს. ანდა უფროსების ენით რომ ვთქვათ, ხდებიან ღმერთის თანაშემოქმედნი.

მესამე მონა იმ ადამიანის სახეა, ვისაც არაფრის კეთება არ უნდა, ეს ადამიანი სულ სხვისგან ელოდება პატივისცემას, მომსახურებას, სიყვარულს და თუ ამას ვერ იღებს, ჯერ უკმაყოფილო რჩება, შემდეგ ბრაზდება და ბოლოს ცილსაც კი სწამებს სხვას (ცილის წამება ნიშნავს ტყუილუბრალოდ რაიმეს დაბრალებას), ყველაფერ ამას ის იმიტომ სჩადის, რომ საკუთარი თავი და საკუთარი სიზარმაცე გაამართლოს. ასეთი ადამიანი ღმერთსაც კი ადვილად სწამებს ცილს, გახსოვთ, როგორ საყვედურობს ეს მონა ბატონს — იმისგან გინდა მიიღო, ვისთვისაც არაფერი მიგიციაო — განა ის ერთადერთი ტალანტი, ბატონისაგან არ ჰქონდა მიცემული. ნახეთ რა მოსდევს ამას — შემეშინდა და შენი ფული მიწაში ჩავფალიო — ის, ვისაც არ უყვარს ღმერთი და არა აქვს მისი იმედი, სულ შიშობს, რომ იმასაც დაკარგავს, რაც აქვს, არავის აჩვენებს თავის ქონებას, არავის უზიარებს საკუთარ განცდებს (მიწაში ფლავს ტალანტს). ერთი შეხედვით, ეს ადამიანი წესიერად მოიქცა, რადგან იგივე დააბრუნა უკან, რაც მიიღო. მართლაც არსებობენ წესიერი, თუმცა უხალისო, უსიხარულო ადამიანები, რომლებსაც თავიანთი წესიერებით მოაქვთ თავი. ასეთ ადამიანებს ისიც წაერთმევათ, რაც აქვთ, რადგან მოჩვენებითი წესიერება არავის არაფერში სჭირდება, ვისაც პატარა საქმის კეთება არ უნდა (ერთადერთი ტალანტის გამოყენება) ის მით უფრო ვერ შეძლებს დიდი საქმის კეთებას. ის, ვინც არ მოქმედებს საკუთარი თავისა და სხვების სასარგებლოდ, არ არის შემოქმედი, არც თვითონ აქვს სიხარული და ვერც სხვას გაუნაწილებს. სიხარული ბევრი სიცილი სულაც არ არის. სიხარული მოდის მაშინ, როცა შენს თავში მოერევი სიზარმაცეს და შენს გვერდით მყოფ ადამიანს, იქნება ეს დედა, მამა, და თუ ძმა, ბებია, ბაბუა, კლასელი თუ მეზობელი, მეგობარი თუ მაღაზიის გამყიდველი, ისევე მოექცევი, როგორც შენ გინდა რომ ისინი მოგექცნენ. თუ თქვენს გარშემო მრავლდება სიხარული, ეს ნიშნავს, რომ თქვენ ამრავლებთ ღვთის მიერ მოცემულ ტალანტებს, ე.ი. თქვენ შემოქმედი ხართ და ე.ი. თქვენ მეტი მოგეცემათ.

ღმერთმა ინებოს. ამინ.

მხატვარი კახაბერ ასლანიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემზარ კვიტაიშვილი

მშიშარა

ვერხვზე ყვანჩალა შემოჯდა
და დაიძახა: ყვა-ყვა!
- ჩამომიყვანე ახლავე! -
მამას სთხოვს ბიჭი ბახვა, -
ხმაზე ვცნობ, დიდი ხანია,
მრნდოდა მაგის ნახვა.

იქვე, მდინარე ვერეში,
სად ქვები ურია რიყის,
ჭუჭმუალაობდა ბაყაყი,
შეხტა, დასძახა: ყი-ყი!
წახდა უმაწვილი, იმ ბაყაყს
იმგვარი ჰქონდა რიხი.

უცებ, სად იყო, სად არა,
ხვლიკიც გამოძვრა მწვანე...
ბახვამ იყვირა: შემჭამენ,
მამიკო წამიყვანე!..

ტარიელ ჭანტურია

დიდი შეჯახება

ავიხვიე თვალი ლენტით,
გავიკეთე ყურში ბამბა! -
აღარც მესმის! ვეღარც ვხედავ!
ცამბა-რამბა! ცამბა-რამბა!

ვეღარც ვხედავ, აღარც მესმის
აღარც რუმბა, აღარც სამბა!
გააფრთხილა ბებუმ ხალხი:
- მოერიდეთ ცოტა ამ ბავშვს!

წავაქციე ტორშერი და
კედელს მივახეთქე ლამფა!
ოთახებში წრეებს ვარტყამ:
- ცამბა-რამბა! ცამბა-რამბა!

უცებ - ბახ! და გადავვარდი!
რა ხმა იყო ასე მჯახე!?
თურმე - ჰი-ჰი! თურმე - ჰა-ჰა! -
თვითონ ბებუს შევეჯახე!

ფილმი გახსოვთ? - „ტიტანიკი“
აისბერგს რომ დაეჯახა!
ა, ბატონო, აისბერგი!
აგერ „ტიტანიკიც!“, აჰა!

საჭიროა ცოტა ლენტი,
საჭიროა ცოტა ბამბა!
მიდით, მიდით! და სულ მალე
თქვენც მოევებით ახალ ამბავს!

მხატვარი თამაზ ხუციშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შოთა ასანიშვილი

არხის ჭინკები

აპრილის ცრიატი დღე იდგა. შუადღის ნაცრისფერ ცაზე მზე სპილენძის შაურიანივით ბჟუტავდა. ჯერაც საკმაოდ ციოდა. ალაზნის არხის პირას, ბოგირთან 9-10 წლის ბიჭების გნიასი იდგა. ოთხნი იყვნენ. ფართი-ფურთით იხდიდნენ ტანისამოსს. წითურს ყველაზე წინ გაეძრო ტანთ, სიცივისაგან დალურჯებული გამწარებით იქნევდა ხელებს. მაღალი, წეროსავით აყლარწული. ჩალისფერქოჩორა ცისფერ პერანგს ვერ შელეოდა, მხრებში მოხრილი აბუზულიყო. ხუჭუჭთმიანი ჯმუხი, შავი ტრუსის ამარა დარჩენილი, სიცივეს არ იმჩნევდა, გაბოტილი იდგა, ოდნავ გამობერილ მუცელზე გამეტებით ირტყამდა მარჯვენას. სუპატარა, მუგუზალივით შავმა, თავგადახოტრილმა ყველაფერი გაიძრო, დედიშობილა დარჩა, ხელები ცისკენ ფრთებივით აიქნია:

— ეჰეჰე-ჰეე! — შესძახა. მერე გარემოს თვალი მოავლო, დაიმორცხვასავით და მორიდებით ჩაყუნტდა.

ბოგირზე ვირის ტაჭკა გამოჩნდა. კოფოზე ძველ დაბამბულქურთუკიანი, სახეზე მზეჩამკვდარი, თეთრწვერიანი მოხუცი იჯდა. შრომით დაქანცულს მხოლოდ ნაცრისფერ თვალებში მოუჩანდა სიცოცხლის ხალისი. სიცივისაგან მობუზული, ჩაფიქრებული მისჩერებოდა სახედრის ყურებს. მოხუცის ყურადღება ბიჭების გნიასმა მიიქცია.

მოხუცმა ვირის ტაჭკა შეაჩერა. კოფოდან წამოიწია. სიცივისაგან დალურჯებული ბიჭები ადგილზე ხტუნავდნენ. წეროსავით აყლარწული მალაყს გადადიოდა. მოხუცს სახეზე შუქი დაეწმინდა. გამოხუნებულ თვალებში საოცარი სხივი ჩაუდგა. თავისი ბალღობა გაახსენდა. არხის პირას გატარებული ბალღობა.

ბიჭები გამეტებით ხტოდნენ ადგილზე. ხელ-ფეხს ჭინკებივით იქნევდნენ. სიცივეს არ ეპუებოდნენ. წყალში ჩახტომის წინ სხეულს იკაჟებდნენ. მოხუცი ერთხანს აღტაცებული შეჰყურებდა. მერე გონს მოეგო და:

— წყალში არ ჩახვიდეთ, შვილებო, დაიხოცებით! — ხმას მუდარა გაურია.

ბიჭები ერთხანს მიწყნარდნენ. მოხუცს და ვირის ტაჭკას დაჟინებით მიაჩერდნენ. მერე სუპატარა, მუგუზალივით შავი მოეგო გონს.

— ნუ გეშინია, პაპა! — იყვირა და არხის მღვრიე წყალში მოადინა ტყაპანი.

დანარჩენებმაც სუპატარას მიბაძეს. არხის ფერდა ჩაირბინეს, ბაყაყებივით გადაეშვნენ წყალში. არხის ნაცრისფერი ზედაპირიდან სამგან აიჭრა ვერცხლისფერი ჭავლი.

მოხუცი გაიშმიშებული იდგა. სიცივისაგან ტანზე ტაომ დააყარა. გამოხუნებულ თვალებზე ცრემლი მოადგა. სახეზე მწარე ღიმილი შეეყინა. არხის ბოგირის ბეტონის მოაჯირისაკენ გაექცა მზერა. ცრემლიანმა თვალებმა ცხადად დალანდეს მზეზე დახრუკული პატარა ბიჭი, გამხდარ კანჭებს სველი შავი ტრუსი რომ შემოტმასნოდა. ბიჭი სანახევროდ ჩაყუნტდა, ტანი წინ წაზნიქა და კალიასავით გააკეთა ნახტომი. მოხუცს წყლის ზედაპირზე ტყაპანის ხმა ნაღდად შემოესმა. მერე თვალები დახუჭა და გაახსენდა — ასეთი ლამაზი, ასეთი დამატყვევებელი განცდა ბავშვობისას სხვა არაფერი ახსოვს!

ჩვენი, ცურვაზე შეყვარებული არხის ჭინკები კი ქვევიდან, მაყვალმოდებული ფერდობის კონწოხზე გამორბოდნენ ხელების ქნევით და ყვირილით. სულ წინ თავხოტორა, დედიშობილა, მუგუზალივით შავი მოუძღოდათ. ბიჭების გნიასი ნაცრისფერ ღრუბელგადაკრულ ზეცასა სწვდებოდა.

ფეხდგომელა გარინდებულ მოხუცს სახეზე საოცრად თბილი ღიმილი დაეფინა. არხის ჭინკების შემხედვარეს დაუძლურებულ სხეულში საამო სითბო დაუბრუნდა. „ჩვენი გადაშენება არ იქნება, არა!“ — გაიფიქრა. მერე ბიჭებს მარჯვენა დაუქნია.

— ნახვამდის, პაპა! — ისევ ის — სუპატარა გახლდათ.

მოხუცმა ვირს სახრე უჭირა და ალაზნის ველისკენ გაეშურა.

მხატვარი ვაჟა ქურხული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლალი ჯაფარაშვილი

წვიმის წვეთები

ჩვენ ლილის ფლიორებზე

ქაღალდი სიცყვა

ვიმეორებ გულში სიტყვას,
ხმამაღლა თქმას ჯერ ვერ ვბედავ,
ვთქვა თუ არა, ვთქვა თუ არა...
ეჰ, რაც არის, არის! - დე-და!

ეჭვიანობა

გუშინდელი დღეობა
გადამეძალა ერთბამად,-
ატეხა ერთი უკუანი,
რბიან ბოთლის ჯახანი...
გაგვრიდეთ ზურმარილს
მე და ჩემი სტუმარი
და მეზობელ ოთახში
შეეჯიბრეთ ფორთხვაში.

ანეკდოტი

მგონი ეგვლას დაკავიწყდი,
ბებოს ხელებს ალერ მიწყდის,
ჩამეჩანა რეიტუზი,
დამტრიალებს თავზე ბუზი,
ალბათ კბენას მიპირებს,
ავდგები და ვიტირებ!-
ა... ა... ა... ა...

მხატვარი მანანა მორჩილაძე

4/7/96, 10:16 AM

დონალდ ბისეტი

გოჭი, რომელიც ფრენას სწავლობდა

ერთხელ გოჭი, რომელსაც იკაროსი ერქვა, ჯადოსნურ წყაროსთან მივიდა და სთხოვა: — ძალიან მინდა, ფრენა ვისწავლო და შენი დახმარების იმედი მაქვსო.

— თუ ძალიან გინდა, გასწავლი, მაგრამ ჯერ შენი ჩიტად გადაქცევა მომიწევს, — უპასუხა ჯადოსნურმა წყარომ.

— არა, არა! მე გოჭი მინდა ვიყო. უფრო სწორად, მფრინავი გოჭი, — თქვა იკაროსმა.

— ძალიან ვწუხვარ, მაგრამ გოჭებს ფრენა არ შეუძლიათ, — გადაჭრით მიუგო ჯადოსნურმა წყარომ.

იკაროსს ეწყინა, შეტრიალდა და წავიდა.

გზაში მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, ფრენა როგორ ესწავლა.

მეორე დღეს, დილიდანვე, ტყეში წავიდა და ყოველ ჩიტს თითო ღერი ფრთა სთხოვა. რა თქმა უნდა, ყველა დასთანხმდა.

— ნუთუ ფრენის სწავლას აპირებ? — ეკითხებოდნენ გოჭს.

— დიახ, — პასუხობდა იკაროსი.

მან ფრთების ღერები ერთმანეთს სანთლით მიაწება და დიდი ფრთები მიიღო. შემდეგ მთის წვერზე ავიდა. ქვემოთ ზღვა გადაშლილიყო. მაყურებელიც ბევრი ჰყავდა: კატა, თაგვი, თუთიყუში, ორი კურდღელი, ხოჭოების მთელი ოჯახი და ლოკოკინა. ყველა მოუთმენლად ელოდა, თუ რით დამთავრდებოდა ეს სანახაობა.

მხატვარს პასაბერ ასლანიშვილი

იკაროსმა ფრთები ტანზე მიიმაგრა, ქანი აიღო და... გაფრინდა. მაყურებლები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ. პაწაწინა ხოჭო კი ბედნიერებისაგან ლამის ტიროდა.

იკაროსი სულ მაღლა და მაღლა მიიწევდა. აი, თითქმის მზესაც მიაღწია!

— ეს რა ყოჩაღი გოჭი ვყოფილვარ! — იკვეხნიდა გუნებაში, — ჯადოსნური წყარო კი მარწმუნებდა, გოჭებს ფრენა არ შეუძლიათო. აი, თუ არ შეუძლიათ!

მაგრამ მზის სიმხურვალისაგან სანთელი თანდათან გადნა და ფრთები ძირს ჩამოცვივდა. გოჭსაც იგივე ბედი ეწია — ტრიალ-ტრიალით ძირს წამოვიდა და ზღვაში ჩავარდა.

საწყალი იკაროსი სულ მთლად დასველდა. კიდევ კარგი, რომ ნაპირს მშვიდობიანად მიაღწია, მერე კი შინისაკენ მოკურცხლა.

— ნუ დარდობ, ჩემო პატარავ, — დაამშვიდა იგი დედამ და მოეფერა, — შენ ხომ ცოტა ხანს მაინც იფრინე!

მალე მეგობრებმაც მოაკითხეს შინ. დედა მათ ჩაითა და გემრიელი ნამცხვრებით გაუმასპინძლდა.

საღამოს იკაროსი ჯადოსნურ წყაროსთან მივიდა და კამკამა წყალს ნაღვლიანად დახედა.

— შენ მართალი ყოფილხარ, გოჭებს ფრენა არ შეძლებიათ, — თქვა და თვალებიდან ცრემლები გადმოსცვივდა.

— სამაგიეროდ შენ ყველას დაუმტკიცე, რომ ყოჩაღი გოჭი ხარ, — შეაქო იგი ჯადოსნურმა წყარომ.

თარგმნა პაატა ჩხეიძემ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლადო მრელაშვილი

დათოს ნიღაბი

როცა საბავშვო ბაღიდან
დათო დაბრუნდა შინა,
შევხედე, - წაუტირია,
თანაც ბოღმისგან ქშინავს.

მერე იატაკს ახალა
მელიის ნიღაბ-ქუდი,
შემდეგ სკამზევე მიაგდო
მხეცის ბუთქუნა კუდიც.

- რა დაგემართა, დათუნი,
ქუდი ძირს რატომ დასცი,
ან როგორ უნდა ტიროდეს
შენებრ ვაჟკაცი კაცი?

- ეეჰ, შენ რა იცი, ჰაჰილო,
დღეს მე რა მიქნეს ბაღში,
ტოლებში გამორჩეული
ერთი მე დავრჩი ბავშვი:

დათვის, ლომ-ვეფხვის ნიღბები
ჩამოურიგეს ყველას,
სჰილოც და მგელიც სხვებს შეჰხვდათ, -
მე კი მომიგდეს მელა.

იმ საახალწლო ზეიმზე
ამით არ წავალ, არა, -
მშვენივრად ვიცი, ვინც არი, -
ქურდი და მატყუარა.

ერთი მშიშარა რამაა, -
ნაცნობი მგელისმგელი,
მინდორში თაგვის მჭამელი,
შინ კი - ქათმების მტერი.

ბეჟან სვანიძე

მელიობა რაღად მინდა

მელიამ თქვა: ეს რა დროა,
რა ჰირქუში, ძველ დროს არ ჰგავს.
შორეთიდან რომ ზიდავენ
საცოდავად ქათმის ბარკალს,
ვიტანჯები მათი ცოდვით,
ჭამის მადა დამეკარგა.
ცოცხალ ქათამს სადღა ნახავ,
ახლოს ვიღა გაგაკარებს.
თუ სადმეა, სასოებით
თავს ჰატრონი დაჰკანკალებს.
არც ეკინჩილა არსად ეიკის,
არც ვარია არ კაკანებს.
ცხრაკლიტულში შელალეს და
ცხრავე კარი გადარაზეს,
უწინ ღია ცისქვეშ ისხდნენ
ხის ტოტებზე, ქანდარაზე...

რა დრო იყო! ვხალისობდი
ქათმებით და საქათმითა...
თუ ვარიას კბილს არ გავკრავ,
მელიობა რაღად მინდა!

მხატვარი თამაზ ხუციშვილი

ტყის მგოსნები

ლუარა გორდიევიჩი

„დილაა. ტყეს ჯერ კიდევ სძინავს, თვლემს. მონადირის ძაღლმა ფრინველი წამოაფრინა. მონადირემ თოფი შემართა და ფრთოსანს დაუმიზნა, დაუმიზნა და... გაშეშდა. შემდეგ თოფი ნელა დაუშვა, რა მოხდა? ბუნების დიდებულებამ, მისმა იდუმალმა ძალამ თითქოს ჩასჩურჩულა ადამიანს: შეჩერდი! ისიც შეჩერდა და ხელი აიღო განზრახვაზე“.

დიდია ბუნების ძალა!

იქნებ შენც დაინტერესდე და მომავალში ბუნების მეგობარი, ქომაგი გახდე. წაკითხულს და მონაყოლს საკუთარი თვალით დანახული სჯობს.

მაშ ასე – გესაუბრები „ტყის მგოსნებზე“ – ბულბულზე, შაშვზე, ტოროლაზე, შოშიაზე და მოლაღურზე.

ბულბული სწორუპოვარი მგალობელია. მას „ტყის სოლისტსაც“ უწოდებენ. თუმცა ზოგი შაშვს ანიჭებს უპირატესობას. რას იზამ! კაცია და გუნება. ნათქვამია: „ზოგს მღვდელი მოსწონს, ზოგს - მღვდლის ანაფორაო“.

და მაინც... რაც ბულბულზე ლექსი, სიმღერა, თქმულება შეთხზულა, ვინ მოთვლის!

მაისი მარტო ვარდობისთვე კი არა, ბულბულის სტვენის თვეც არის.

გარეგნობით ბულბული არ გამოირჩევა, ტანად პატარაა, ფერით უმეტესად ნაცრისფერი, მაგრამ ენით აუწერელია მისი გალობის მშვენიერება ტყის პირას ან ტბის მახლობლად.

მაისში ბულბულის „სოლო კონცერტის“ მოსმენა შეიძლება დაისიდან გათენებამდე. დაბინდებისას, მთვარიან ღამეში დაიწყებს და მზის ამოსვლამდე ატყვევებს მიწისა და ცის ბინადართ... ვარსკვლავებს თითქოს სიკაშკაშე ემატებათ.

გაიხსენეთ „ჩხიკვთა ქორწილში“ სუფრის ბოლოს მჯდომი ბულბული, დაღონებული, სევდიანი. ვერც ამჩნევენ, მაგრამ ბოლოს გაახსენდებათ და სთხოვენ, იმღეროს. ბულბულიც იწყებს...

„ფრინველთ ხმა გაკმინდეს, ბუზების ფრენა ისმოდა, ყვავილთ სული განაბეს და მოტრფიალე თვალებით შესცქეროდნენ მგოსანს. ფრინველთ გააბეს საერთო სიმღერა. ამ სიმღერაში ბუნების ქება იხატებოდა, ტყისა და დედამიწის მადლი. ამ მადლს მადლობას უძღვნიდნენ ფრინველნი“.

გალობის დროს ბულბული სიფრთხილესაც ივიწყებს და ვერავის ამჩნევს. გალობენ მხოლოდ მამლები, ამასთან ხნიერები უკეთ, ვიდრე ახალგაზრდები. მამალი ბულბული დიდებული მგალობელიც არის და მზრუნველი მამაც. ბუდეს ხშირ ბუჩქებში ან მიწაზე იკეთებს. დედალი ბულბული ბუდეში დებს ოთხ ან ხუთ მუქი ფერის კვერცხს, რომელიც დამჭკნარ ფოთოლს წააგავს და ძნელი საპოვნელია. ორი კვირის შემდეგ იჩეკებიან ბარტყები, რომლებსაც მშობლები მატლებითა და ჭიებით ჰკვებავენ.

ბულბული აგვისტოს ბოლომდე ჩვენში რჩება, მერე კი მცირე გუნდებად იწყებს გადაფრენას თბილი ქვეყნისაკენ (აფრიკისაკენ).

შაშვის გალობა ბულბულისას ჩამოჰგავს. ზაფხულში, როცა განთიადისას გატაცებით ჭიკჭიკებენ ჩიტუნები, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიანო, მათს ხმატკბილ ჟივჟივში ადვილად გამოირჩევა შაშვის ძლიერი და მწყობრი გალობა, რომელიც თითქოს

ბანს აძლევს ჩიტების საერთო კონცერტს. გალობისას შაშვი, ჩვეულებრივ ხის კენწეროზე ჯდება.

საქართველოში შაშვის რამდენიმე სახეს ვხვდებით: ჯიჯღს (წრიპას), შავ შაშვს, თეთრწარბას, ბოლოშავს, ჩხართვს, წყლის შაშვს, შავყელა და თეთრყელა შაშვებს. მათი უმრავლესობა საქართველოში მობინადრეა.

ყველა შაშვზე უკეთესად გალობს წრიპა. მისი ბგერა ძლიერია და მაღალი რეგისტრისა.

წყლის შაშვი მთელ სიცოცხლეს მთის პატარა მდინარეების ახლოს ატარებს. ძალიან ცქვიტი და მოძრავია. მშვენივრად დარბის, როგორც წყლის ფსკერზე, ისე ხმელეთზე. მდინარის ფსკერზე ის პაწია თევზებზე ნადირობს. ბუდესაც მდინარის ნაპირებზე იკეთებს და 4-5 კვერცხს დებს. როგორც შაშვების უმრავლესობა, წყლის შაშვიც ზამთარ-ზაფხულ ატკბობს გალობით არემარეს, ისიც მთელ წელიწადს რჩება საქართველოში.

შაშვის საყვარელი საკვებია ჭიები, მწერები, კენკრა.

შაშვი ტყის კარგი დამცველია.

ეროვნული ბიბლიოთეკა
4/7/96, 10:38 AM

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ტოროლა მაღლა ღრუბლებში წკრიალ-წკრიალით გალობდა“ – ნათქვამია ლექსში, რომლის ერთი სტროფიც წლების მანძილზე წამძღვარებული ჰქონდა ჟურნალ „დილას“.

ტოროლები აპრილის მეორე ნახევარში მოფრინავენ ჩვენს მხარეში. მამალი ტოროლების გალობით ვგებულობთ მათ ჩამოფრენას.

როგორც კი ინათებს, ტოროლა წკრიალით აიჭრება ცაში, ამიტომ საქართველოს მთიანეთში მას „ცასწავალას“ ეძახიან. ტოროლას წკრიალა ხმა ღამის მეხრესაც აფხიზლებს, რომელმაც მთელი ღამის განმავლობაში გუთნიდან გამოხსნილი ხარ-კამეჩი თავის დროზე უნდა მიიყვანოს ადგილზე. ტოროლასადმი სიყვარულის გამოხატულებაა ხალხური ლექსი:

„ტოროლას მაინც არ მოკლავ
ბევრიც რომ მქონდეს წამალი,
საწყალი ღამის მეხრისა
ის არის კარგი მამალი“.

ტოროლა ბეღურების ოჯახს მიეკუთვნება, მაგრამ მათგან განსხვავდება გალობით.

საქართველოში ტოროლას რამოდენიმე სახეს ვხვდებით: მინდვრის და ტყის ტოროლას, ქოჩორას, რქოსანს. ისინი ბინადრობენ ყანაში, ტყეში, მინდორში.

ტოროლა დაბლა, ბუჩქის ძირას, ორმოში იკეთებს ბუდეს და საიმედოდ ნიღბავს მას მტრებისაგან დასაცავად. მოჩიტებული ბარტყების ნაწილი სექტემბერში გამოსაზამთრებლად მიფრინავს მონღოლეთში და ჩრდილოეთ ჩინეთში, ნაწილი კი რჩება და ნაკლებ თოვლიან ხეებსა და ბუჩქებს აფარებს თავს. ტოროლა იკვებება ბალახეულის თესლით და სხვადასხვა მწერით.

ვოკალური ხელოვნების დიდი ოსტატია შოშია. იგი ბაძავს ყველა მგალობელს და ცხოველებსაც კი. ამიტომ ამბობენ „საკუთარი ხმა“ არ გააჩნიაო, მაგრამ ეს ცილისწამებაა. მას საკუთარი ხმაც აქვს, რომლის საშუალებითაც თანამოძმეებს ესაუბრება. ისევე როგორც შაშვი, ისიც ტყის საშიშ მავნებლებს სპობს.

შოშიები გაზაფხულზე წყვილდებიან და ხის ფუღუროში სახლდებიან. თითოეული წყვილი ორ-ორ თაობას იძლევა გაზაფხულ-ზაფხულში. არიან საქართველოში მობინადრე, მოზამთრე და მიმომფრენი შოშიები.

საქართველოში გავრცელებულ ფრინველთა შორის ყველაზე ლამაზია მოლაღური. ტანად ის შოშიას ოდენაა. უყვარს ფოთლოვანი ტყე. ჩვენში მხოლოდ ზაფხულს ატარებს, შემოდგომაზე აფრიკაში მიფრინავს. გაზაფხულზე, აპრილის დამლევს კი თავისი „ბიჭო გოგიათი“ გვატყობინებს დაბრუნებას.

ბუდეს იკეთებს მაღლა ხეზე, სადაც დედალ-მამალი მოლაღურები განუყრელად ცხოვრობენ, სანამ ბარტყებს არ გამოჩეკავენ და დაზრდიან.

გაზაფხულზე მოლაღურები მწერებით იკვებებიან და ამით სარგებლობა მოაქვთ ადამიანისათვის, მაგრამ როცა ხილი დამწიფდება, ბაღებს აზიანებენ.

მოლაღური ჩინებულად გალობს, რისთვისაც „ტყის ფლეიტა“ შეარქვეს. იგი გალობს ხანგრძლივად, გალობს ავდარშიც მელოდიური, მაღალი, ფლეიტისმაგვარი სტვენით.

მზით გაბრწყინებულ ხის კენწეროზე მჯდომი მამალი მოლაღური დიდებული სანახავია.

მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე

ვანო ჩხიკვაძე

ძილისპირული





მოცვივა ფოთოლი
ერთი და ორი.
აფთარი მხეცია,
ფრინველი — ქორი.

სამი და ოთხი და
ხუთი და ექვსი.
თქვენ ჩემი ტოტი ხართ,
მე — თქვენი ფესვი.

პატარა თითებიც
დავთვალოთ, ბარემ —
ჰქვია საქართველო
თქვენს მშობელ მხარეს.

კოჭს თითი გაჰკარით —
გაგორდა ოთხი,
ტოტიდან ტოტებზე
კაკალი მოხტის.

დევი ჩაპარულა
მარანში ქშენით.
ქვევრებში ბუყბუყებს
თავკვერის წვენი.

კნაწო და კნუწო ხომ
ციყვია ორი,
უნთიათ ღუმელი,
ამოდის ბოლი.

ითვლიან ზამთრისთვის
თხილსა და კაკალს —
ეს — კნაწოს,
ეს — კნუწოს,
ეს კიდევ...
ხაფანგს
გაექცა წრუწუნა,
...პირში რომ დნება,
თან მიარბენინებს
აწაპნილ ლებანს.

გაბრაზდა კნაწო და
გაცეცხლდა კნუწო:
— ოი, შე ბაცაცავ!
— ოი, შე წუწკო!

შემირცხვეს ულვაში,
შეიპყრეს თუკი,
წრუწუნას თუ ასცდეს
დაკიდვა კუდით.

ძმრად ამოადენენ
მოპარულ ლებანს.
გახსნილად ცხადდება
ციყვების კრება.

თუმც ემუქრებიან:
— დაგკიდებთ თოკზე!
მაინც ურჩევნია
მაძღარი მოკვდეს.

რა გახდა წრუწუნა
პანტამსხლის ხელა,
როდესაც ქურდობს და
ბაცაცობს ყველა.

დასაჯეთ მელა და
ღრუბელიც, ბარემ.
ის ქათამს იპარავს,
ეს კიდევ — მთვარეს.

დასაჯეთ ცხვრისა და
სტაფილოს ქურდი.
კურდღელს რით დავკიდებთ?—
არა აქვს კუდი.

და სანამ კრება აქვთ
კნაწოს და კნუწოს,
ნიგოზში დაძვრება
თაგვი და წუწკობს...

ფიფქები დავთვალე
ათასჯერ ათი.
თათსა წოვს ბუნაგში
მძინარე დათვი.

ბოსელში ღეჭავენ
ხარები ჩალას.
ბებია ტაფაზე
ბატი-ბუტს ხალავს.

გადმოხტა მარცვალი, —
ეგონა გრილი,
მივარდა ფისუნა,
დაიწვა პირი.

ეგეც შენ, გამძღარო
ღუმელქვეშ ძილით,
არ გერგო ვანიკოს
და ლექსოს წილი.

შინ თბილა,
გარეთ კი,
ახია, ახი,
ტლაპოში ჩამდგარა
თხუპნია ტახი.

ბატკანი თეთრია
მგელი კი — რუხი.
გადაჰფოფრებია
საბუდარს კრუხი.

ერთი და ხუთი და
ათი და ოცი...
ბებია მილალავს
წიწილებს ცოცხით.

ღამდება მთაში და
ღამდება ბარში.
მშიერი ტურიკო
წუწუნებს ქარში.

თიკანმა თივაზე
გაჭიმა ყირა
ყვინთავს ზეზეულად
თავლაში ქვირა.*

კარგად ამოიგოთ
საბანი, ვინძლო.
დილის მომლოდინე
მამალი ფხიზლობს.

ხუთი და,
ოთხი და,
სამი და,
ორი და...
დავხუროთ წიგნი,
ძილის დროც მოვიდა.

* ქვირა — ცხენი

მხატვარი ლაშა სულაკაური



1. უოლტ დისნეის საბავშვო ქალაქი;
2. საბავშვო იუმორისტული რუსული კინოჟურნალი; 3. ბიჭების თამაში ქამრებით; 4. რობოტი ქართული მულტფილმებიდან; 5. ანიმაციური ტელეგადაცემა; 6. ფილმი, რომელშიც შესაძლებელია ნებისმიერი საოცრება; 7. ქართული საბავშვო ჟურნალი; 8. ბავშვთა საესტრადო ანსამბლი, რომელზეც ფილმია გადაღებული; 9. ბავშვთა გართობის პარკი თბილისში; 10. ძილისპირული ტელეგადაცემის წამყვანები.

მზის დედის გაკვეთილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუდრაჭებო, დედა ყველაფერს ჰყავს, სულდგმულსაც და უსულოსაც. ხომ ვამბობთ: მაწვნისდედაო, გუთნისდედაო, დედამდინარეო, დედაბოძიო, დედაქალაქიო, დედაენაო... დანარჩენი თქვენ გაიხსენეთ. ეგება აქამდე თქვენთვის არავის უთქვამს, რომ ცის მარადიულ მგზავრს, მზესაც ჰყავს დედა.ჰოდა, ერთხელ მზის დედამ თავის ანგელოზ, გულსხივოსან შვილს უთხრა: მოიარე ქვეყნიერება, ზღვა, ხმელეთი და ყოველი ცხოველის, ნადირის, ფრინველის და წყლის ბინადრის ყმაწვილი შემიკრიბე ისეთ ადგილას, სადაც ტყეც არის, მინდორიც და ნაკადულიც – პატარა გაკვეთილს ჩავუტარებო. შვილი დედას როგორ დაზარდებოდა, თხოვნა მალე შეუსრულა.

– აქ ყველას ბავშვს ვერ ვხედავ, რატომ? – ჰკითხა დედამ.

– ზოგის მშობელი დაეჭვდა. ეგება შენ ანგელოზად შენიღბული ეშმაკი ხარ, ჩემი ბიჭუნა თუ გოგონა დასაღუპავად გაიტყუოო. ვინც მენდო, მხოლოდ ისინი მოვიყვანე.

– კეთილი, კეთილი! გაკვეთილს ამათთან ჩავატარებ. დავიწყოთ. ყმაწვილებო, მითხარით, ყველაზე მეტად ვის ვინ გიყვართ.

მოსულებმა ერთხმად წამოიძახეს: დედა!

– კეთილი, კეთილი! – თვალები გაუბრწყინდა მზის დედას, – ახლა სათითაოდ გამაცანით თქვენი თავი, ვის რა გქვიათ და ვინ ვისი ხართ.

მზის დედამ მალე გაიგო, რომ აქ მოსულიყვნენ ლომის ლეკვი, მგლის ლეკვი და ძაღლის ლეკვი, ვეფხვის ბოკვერი, კატის კნუტი, კამეჩის ზაქი, ძროხის ხბო, იგივე ბოჩოლა, ცხვრის კრავი, მეორე სახელად ბატკანი, თხის თიკანი, შვლის ნუკრი, ცხენის კვიცი, ღორის გოჭი, კურდღლის ბაჭია, ვირის ჩოჩორი – ზოგი მუტრუკსაც რომ ეძახის, ხის, აქლემის კოზაკი, ქათმის წიწილა, ინდაურის ჭუკი, ბატის ბჟიტი, მტრედის ხუნდი, არწივის მართვე, თაგვის ღლაპი, ზოგი წრუწუნას რომ ეძახის, თევზის ლიფსიტა, ბაყაყის თავკომბალა, დათვის ბელი.

– კეთილი, კეთილი! იხარეთ, იზარდეთ, ივჯანმრთელეთ, იცოცხლეთ მრავალჟამიერ, იმრავლეთ! – ღიმილად დაიღვარა მზის დედა, – ახლა ისიც გავიგოთ, უკეთესი დედა ვის ჰყავს? ყველა შვილმა წამოიგალობა, რომ მის დედაზე კეთილი, ლამაზი და საყვარელი დედა სხვას არავის ჰყავს... და ქებით მეშვიდე ცაში აიყვანა. მზის დედამ გაიცინა, აგრე იყოსო, მერე ყველა შვილს დაულოცა დედა და ყველა დედას – შვილი. ასე დამთავრდა მზის დედის გაკვეთილი.

ახლა, ჩემო კუდრაჭებო, ჩიტუნებო და გვრიტუნებო, ია-ვარდებო და მარგალიტებო, ჭინკებო და ანგელოზებო, მე გაძლევთ საშინაო დავალებას, გამიგეთ, ვისი შვილი არ მოვიდა მზის დედის გაკვეთილზე, და რა ჰქვია მას. ჩაიწერეთ თქვენს დღიურში და თუ ჩვენც გამოგვიგზავნით ბარათით, ფრიად დაგიმადლით. ჩემგანაც მიიღეთ მზის დედისნაირი დალოცვა.

ბაბუა აკაკი გეწაძე



ეროვნული
ბიბლიოთეკა

1. ქვეყანა, სადაც გამოიგონეს ჭადრაკი; 2. რით თავდება თამაში; 3. ჭადრაკის უძლიერესი ფიგურა; 4.ცხენი არა, ... 5. საჭადრაკო... არა სონატა, არამედ ..... 6. მეფის დამუქრება; 7. მისი მოკვლის მერე თამაში თავდება; 8. თამაშის დასაწყისი; 9. ფიგურის შეწირვა; 10. ყველაზე პატარა ფიგურა; 11. ფიგურა ცხოველთა სამყაროდან; 12. თამაშის დაბოლოება; 13. დროის უკმარისობა ჭადრაკში; 14. მეფისა და ეტლის ერთდროული გადაადგილება; 15. ჭადრაკში ფაეტონი არ არის, არის...



გაარჩიეთ ერთმანეთისგან ფეხბურთელთა გუნდები, თქვენი ფანტაზიით შეურჩიეთ ფორმის ფერები და გააფერადეთ. შეგიძლიათ გააფერადოთ მინდორი და ტრიბუნებიც.

მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე

TOP MODEL

დილა
ეროვნული
ბიბლიოთეკა

აბა, დელი, დელი დელა,
დელია, ოდელია.
ეს კეკლუცი ნიაკო,
ჩვენი ტოპ-მოდელია.

ყველას მისი ფოტო უნდა,
ჟურნალსა თუ გაზეთს.
მოუსვენარ ფოტოგრაფებს
ვერ გაექცა ბღვაზეც.

პოდიუმი, კონკურსები,
გასტროლები, ტურნე.
როგორც ფრთები – სილამაზეს
სასჯელია თურმე.

ქერა ლამაზ-კულულება,
მზერა – შუქთა მფენი.
აბა, ჩქარა სავარცხელი,
აბა, ჩქარა „ფენი“.

დახეთ, სამზარეულოშიც
სდევენ ფოტოკამერით.
მოიარა სურათებით
მთელი იმერ-ამერი.

ახლა პრიმა ტოპ-მოდელი
ამბობს დანანებით:
ჰონორარში „დილამ“
მომცა
მხოლოდ ბანანები.

აბა, დელი, დელი, დელა,
დელია, ოდელია.
ეს ნიაკო ნეკოდენა
პრიმა ტოპ-მოდელია.

გილოცავთ დაბადების დღეებს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

F6771

გეგა აბაშიძე, ლალიკო ამირეზაშვილი, ლევან არაბული, გიორგი და ვანო ბექაშვილები, გიორგი და თიკო ბოკელავაძეები, მირანდა და თორნიკე გაბელაიები, სალომე დავითაშვილი, ციცი დეკანოიძე, თათია დოლიძე, სალომე ვარდანაშვილი, მიქაელ იორამაშვილი, მამუკა კაკულაძე, ირინე კევლიშვილი, ზურიკო ლობჟანიძე, ნინიკო ლორთქიფანიძე, ოთარ მანგიაშვილი, ნიკა მაჩაბელი, გიორგი ფოცხვერაშვილი, თამუნა ქარქუსაშვილი, ნიკა ჩარგეიშვილი, ამიკო ჩანჩიბაძე, სალომე ჩიბურდანიძე, გვანცა ჩლაიძე, მარიამ ჯავახიშვილი, ბექა ჯაჯვანი, ანი ქარდავა, ჯუმბერ ბენდელიანი, გიორგი ჯიშკარიანი, სალომე ჯოხაძე, გიორგი ხავთასი

თ. ვიჭარა

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

დედამიწის ბიოგრაფია

ეროვნული ბიბლიოთეკა

